

საქართველო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სასწავლო უნივერსიტეტი  
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



### ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის

სენატის გადაწყვეტილება №13/15, 27.11.2018

სენატის თავჯდომარე, რექტორი, პროფესორი

  
\_\_\_\_\_ მარაბიძე



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,  
შემუშავების და განვითარების წესი

ND 2-F09-01

შეთანხმებულია:

ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსი

\_\_\_\_\_ ლ.ჯაყელი

შემუშავებულია:

პროფესიული მომზადების ცენტრის

უფროსის მოადგილე

\_\_\_\_\_ ი. ინჭირველი



## შინაარსი

1	ნორმატიული ბაზა	3
2	ტერმინები. განმარტებები. შემოკლებები	3
3	ძირითადი დებულებები	4
4	საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დაგეგმვა	5
5	ცვლილებების განხორციელება საგანმანათლებლო პროგრამაში	6
6	საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება	7
7	ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება	8
8	საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების მექანიზმები	9
9	პროფესიული პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი	10
10	გავრცელების არე	10



## 1. ნორმატიული ბაზა

1. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ ND 1-01-02;
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 01 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ;
3. საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
4. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-001;
5. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
6. დოკუმენტების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;

## 2. ტერმინები, შემოკლებები, განმარტებები

- 2.1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. პროგრამა აერთიანებს კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს/მოდულებს. მასში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები; ფ) პროფესიული საგან
- 2.2. **პროფესიული სტანდარტი** – დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული განათლების საფეხურები, მათი მინიმალური მოცულობა კრედიტებში და თითოეული საფეხურისათვის სავალდებულო ცოდნა, უნარები და ღირებულებები, ასევე დგინდება პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები;
- 2.3. **პროფესიული სტუდენტი** – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- 2.4. **პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო** – ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული პროფესიული განათლების შესაბამისი ყველა კვალიფიკაცია;
- 2.5. **პროფესიული კვალიფიკაცია** - პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დონე, რომელიც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული პროფესიული დიპლომით;
- 2.6. **ხარისხის უზრუნველყოფა** – შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა



განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;

3. **ინიციატორი** - დაინტერესებული ფიზიკური ან იურიდიული პირი. გარდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა;
- 3.1. **ECTS - The European Credit Transfer (and Accumulation) System** - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა სტუდენტზე ორიენტირებული სისტემაა, რომელიც ეფუძნება სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას;
- 3.2. **ND** - ნორმატიული დოკუმენტი;

### 3. ძირითადი დებულებები

- 3.1. წინამდებარე წესი არეგულირებს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების და მათში ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცესებსა და პროცედურებს.
- 3.2. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება პროფესიული მომზადების ცენტრის კოორდინირებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესით;
- 3.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა პასუხობდეს პროფესიული განათლების განვითარების პერსპექტივებსა და გამოწვევებს, აკადემიის მისიას და ეფუძნებოდეს მხარეების - პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების - გამოკითხვების ანალიზს;
- 3.4. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
  - იდეის ინიცირება, პროგრამის დასაბუთება და თანხმობის მიღება;
  - პროგრამის პროექტის შექმნა და შეთანხმება საზღვაო აკადემიის სენატზე;
  - პროგრამის პროექტის დამტკიცება და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის მომზადება თვითშეფასების და შესაბამისი დამადასტურებელი მასალების მომზადების გზით.



#### 4. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დაგეგმვა

- 4.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების საფუძველია შრომის ბაზრის და/ან დამსაქმებლების მოთხოვნების შესწავლის ანალიზი;
- 4.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული სტანდარტი და საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი;
- 4.3. საზღვაო აკადემიის სენატს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დასამტკიცებლად წარედგინება პროფესიული მომზადების ცენტრის ინიცირება პროფესიული პროგრამის დამატების თაობაზე და პროგრამის ხელმძღვანელის კანდიდატურა;
  - 4.3.1. პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელად ინიშნება შესაბამისი დარგის მოწვეული კვალიფიციური სპეციალისტი/აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავებას, საჭიროების შემთხვევაში მის მოდიფიცირებას, პროგრამის დაკომპლექტებას მასწავლებლებით, მოდულების შემუშავებას;
- 4.4. პროფესიული პროგრამის შემუშავების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან პროგრამის ხელმძღვანელი, დამსაქმებლები, დარგის სპეციალისტები და მასწავლებლები. ჯგუფის მუშაობას და პროგრამის შემუშავებას კოორდინირებას უწევს პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი;
- 4.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს: პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების, მოწვეული და დამხმარე პერსონალის რაოდენობრივი თანაფარდობა, რაც უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტებისა და სტუდენტთა მხარდამჭერი სხვადასხვა სერვისის ხარისხს; ასევე პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსები, ფინანსური უზრუნველყოფა და სხვა.



- 4.6. ზემოაღნიშნული ეტაპების დასრულების შემდეგ საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განსახილველად ეგზავნება საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი. შეფასებისა და შესაბამისი დასკვნის მომზადების შემდეგ პროგრამის პროექტს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი წარადგენს დასამტკიცებლად სენატის წინაშე.
- 4.7. სენატის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროგრამული აკრედიტაციისათვის;
- 4.8. აკრედიტაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში საზღვაო აკადემია უფლებამოსილია გამოაცხადოს მიღება საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაბამისი პროცედურების გავლის გზით.

## 5. ცვლილებების განხორციელება საგანმანათლებლო პროგრამაში

- 5.1. საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების შემდეგ მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე ერთ კვირით ადრე;
- 5.2. საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის შიდა ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული სისტემური შეფასებების შედეგებით გამოვლენილი მიგნებები, პროგრამის გარე შეფასება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა ან სხვა დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის მონაცემები პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარებიდან და სხვა;
- 5.3. პროგრამაში გასახორციელებელი ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს სააკრედიტაციო ან პროგრამის მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები პროგრამასთან დაკავშირებით;
- 5.4. საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების ინიცირების ავტორი შესაძლოა იყოს ხელმძღვანელი, პროგრამაში ჩართული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სხვა დაინტერესებული პირები. ცვლილების განხილვა მიღებული გადაწყვეტილება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნასთან



ერთად განსახილველად წარედგინება საზღვაო აკადემიის სენატს, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ინფორმაცია ცვლილების შესახებ დადგენილი წესით ეცნობება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და პროცესში ჩართულ სტრუქტურულ ერთეულებს;

5.5. თუ განსახორციელებელი ცვლილება თავის მხრივ ცვლის პროგრამის სწავლის შედეგებს და პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროფესიული ცენტრის შიდა გადაწყვეტილება განსახილველად ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. საბოლოო გადაწყვეტილება პროგრამაში განსახორციელებული ცვლილებების შესახებ მიიღება სენატის გადაწყვეტილების საფუძველზე და ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

5.6. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები აისახება პროგრამის განხორციელების შიდა თვითშეფასების პერიოდულ ანგარიშებში;

## 6. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

6.1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის განხორციელების შეფასებისას გამოვლენილი სუსტი მხარეები და რისკ-ფაქტორები, როგორცაა მაგალითად პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის სიმცირე, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე სტუდენტთა მხრიდან პროგრამის მიმართ ინტერესის არარსებობა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, პროგრამის განხორციელების მხარდამჭერ გარე პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტა და სხვა;

6.2. გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელის/ების ინიცირებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა საზღვაო აკადემიის სენატს;

6.3. გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ ეგზავნება იურიდიულ სამსახურს, სტრუქტურულ ერთეულებს შემდგომი პროცესებისა და პროცედურების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;



6.4. იმ შემთხვევაში, თუკი გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებიან სტუდენტები, მათი შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა განხორციელდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად.

## 7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება

7.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად;

7.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავებული უნდა იყოს სტუდენტთა განსხვავებული მოთხოვნების, მათი აკადემიური მომზადების და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით და მორგებული უნდა იყოს სწავლა-სწავლებისა და შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს;

7.3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა;

7.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტმა/მეურვემ ინდივიდუალური გეგმის შედგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს პროფესიული მომზადების ცენტრს. სტუდენტის/მეურვის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

7.5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აგრეთვე შეიძლება შეიქმნას საზღვაო აკადემიის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაშიც;

7.6. 7.5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცებისას გათვალისწინებული უნდა იყოს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრული მოთხოვნები და პროცედურები;





7.7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმას ამტკიცებს საზღვაო აკადემიის სენატი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით.

## **8. საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების მექანიზმები**

8.1. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება რეგულარ შეფასებას;

8.2. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება გამოკითხვებისა და უფლებამოსილი პირების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული, ყოველწლიური შეფასების გზით;

8.3. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასებას ახორციელებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ISO სტანდარტების უზრუნველყოფის სამსახურის აუდიტი;

8.4. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასება გულისხმობს:

8.4.1. სასწავლო პროცესის, მათ შორის საგამოცდო პროცესის, მონიტორინგს;

8.4.2. საუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვებას ურთიერთდასწრების გზით;

8.4.3. პროფესიულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვებს;

8.4.4. სასწავლო მასალის მონიტორინგს;

8.4.5. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს;

8.4.6. საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, სასწავლო მასალის პერიოდულ შემოწმებას;



## 9. პროფესიული პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი

9.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

## 10. გავრცელების არე

1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
2. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის საკონტროლო და აღრიცხულ ეგზემპლარს) განთავსებულია [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)
3. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლიარის დაგზავნას აწარმოებს ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური outlook-ით (სამუშაო ფოსტით) და დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის მეშვეობით.